საბჭოთა ხალხი
მომავალ
ათწლეულს
(1981-1990 წლებს)
იწყებს
იმის მტკიცე
გადაწყვეტილე-
ბებით,
რომ იგი ახალი
დიდი
საქმეებისა და
მიღწევების
ათწლეულად
გადააქციოს

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 232 (6793)

3 დეკემბერი 1980 წ. ოთხშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის გამო — „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“.

1. მოწონებულ იქნეს პარტიის XXVI ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“.

2. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“ გამოქვეყნდეს 1980 წლის 2 დეკემბერს საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის.

3. მოეწყოს განხილვა პროექტისა „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებები“ შრომითს კოლექტივებში, სასწავლებლებში, ჯარის ნაწილებში, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებში, რაიონების, ქალაქებისა და ოკრუგების აქტივის კრებებსა და პარტიული კომიტეტების პლენუმებზე, საოლქო, სამხარეო პარტიულ კონფერენციებსა და მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ყრილობებზე, პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით, პარტიული, კომკავშირული და ეკონომიკური სწავლების სისტემაში, აგრეთვე საუბრები მოქალაქეთა საცხოვრებელ ადგილას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის
გენერალური მდივანი
ლ. ბრეჟნევი.



გუშინ პრესაში საყოველთაო-სახალხო განხილვისთვის გამოქვეყნდა სკკპ XXVI ყრილობისთვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროექტი — „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981—1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“. გუშინვე ჩვენი ფოტოკორესპონდენტი ა. კოტორაშვილი ეწვია ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტს, რომლის სკკპ ისტორიისა და მეცნიერული კომუნიზმის კათედრაზე ინსტიტუტის თანამშრომელთა ერთი ჯგუფი გულმოდგინედ ეცნობოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის აღნიშნულ პროექტს.

სურათზე: ინსტიტუტის სკკპ ისტორიისა და მეცნიერული კომუნიზმის კათედრის გამგე, დოცენტი კ. კახიძე შეკრებილთ აცნობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას და პროექტს.

მიმართულება — სოციალური პროგრესი

ყოველი ახალი ხუთწლედი წარუშლელ კვალს ტოვებს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. მეათე ხუთწლედს თამამად შეიძლება ვუწოდოთ დიდ სოციალურ გარდაქმნათა ეპოქა. ქვეყნის ისტორიაში იგი შევა როგორც სახალხო მეურნეობის ყველა დარგში საერთო წინსვლისა და ხალხის კეთილდღეობის დონის ამაღლების ხუთწლედი. გუშინ პრესაში გამოქვეყნდა „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებების“ პროექტი. ამ დოკუმენტის კითხვისას ყურადღებას პირველ ყოვლისა სწორედ ის იქცევს, რომ ხალხის კეთილდღეობისთვის, მათი მატერიალური და სულიერი მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის ზრუნვა მომავალ ხუთწლედშიც მთავარი მიზანი იქნება. მაშასადამე, ახალი ამოცანის წინაშე დგება ჩვენი ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობაც, რადგან იმ ღონისძიებათა წყებაში, რომლებიც ხალხის კეთილდღეობის ამაღლებას ისახავენ, ერთ-ერთი მოწინავე ადგილი ფიზკულტურასა და სპორტს აქვს მიჩენილი. უკვე ძნელი აღარ არის წარმოვიდგინოთ, თუ საით იქნება მიმართული ჩვენი ფიზკულტურული მოძრაობის საჭე ახალ ხუთწლედში. დღის წესრიგში დგება მასობრიობიდან საყოველთაო-სახალხო ფიზკულტურულ მოძრაობაზე გადასვლა, რაც სავსებით შეესაბამება მომწიფებული სოციალიზმის სოციალურ პროგრამას. მომავლის ამოცანა კი უკვე მიღწეულიდან გამომდინარეობს, უკვე დაძლეული სიმაღლიდან გავქცერით პერსპექტივას.

ახალი ხუთწლედის ძირითად მიმართულებათა თვალის ერთი გადავლებითაც საცნაური ხდება ის დიდი პასუხისმგებლობა, რაც ფიზკულტურულ, სპორტულ და ტურისტულ ორგანიზაციებს ეკისრებათ. ხალხის მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონის ამაღლებაში, მათი დასვენების ორგანიზაციისა და ჯანმრთელობის განმტკიცებაში შეტანილი წვლილის გარდა, ფიზკულტურა და სპორტი უნდა გახდეს შრომისნაყოფიერებისა და წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების ერთ-ერთი საიმედო დასაყრდენიც. ზემოთქმულის შესაჯამებლად ალბათ ყველაზე კარგი იქნება თვით პროექტის ის ნაწილი მოვიტანოთ, სადაც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ „ოთხმოციან წლებში კომუნისტური პარტია კვლავაც თანმიმდევრულად განახორციელებს თავის ეკონომიკურ სტრატეგიას, რომლის უმაღლესი მიზანია — ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება, უკეთესი პირობების შექმნა იმისთვის, რომ ყოველმხრივ განვითარდეს პიროვნება მთელი საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების, შრომისნაყოფიერების გადიდების, საბჭოთა ადამიანების სოციალური და შრომითი აქტიურობის ზრდის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, უახლოეს ათწლეულში: უნდა უზრუნველვყოთ საზოგადოების შემდგომი სოციალური პროგრესი, განვახორციელოთ ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ფართო პროგრამა“. ეს პროგრამა კი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზნად სახავს ზრუნვას „გაერთიანებებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და სხვა ორგანიზაციებში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისთვის“.

კარგადაა ცნობილი, რომ ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი პირდაპირ კავშირშია მშრომელთა კეთილდღეობასთან. ისინი ცალ-ცალკე, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად როდი ვითარდებიან. ცხადია, განცალკევებულად არც ფიზკულტურა და სპორტი იქნება. პირიქით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ სახალხო მეურნეობის არც ერთ დარგს ისეთი მჭიდრო კავშირი არა აქვს სხვა დანარჩენ მონათესავე თუ არამონათესავე დარგებთან, როგორც ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობას. რაც მთავარია, იგი დღეს უკვე თავადაა სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი მძლავრი დარგი. ამ დარგს აქვს თავისი მატერიალურ-ეკონომიკური ბაზა, ჰყავს საკუთარი კადრების მძლავრი არმია, მისი მუშაობაც, ისევე როგორც სახალხო მეურნეობის ბევრი დარგისა, მმართველობისა და დაფინანსების სახელმწიფო და საზოგადოებრივ საწყისებზეა აგებული. ფიზკულტურისა და სპორტის აღზევება დროის მოთხოვნითაა ნაკარნახევი. თანამედროვე ადამიანი ხომ შესანიშნავად გრძნობს ფიზკულტურისა და სპორტის სასიკეთო მნიშვნელობას. თავად ცხოვრებამ, დრომ შეცვალა მისი შეხედულება ფიზკულტურასა და სპორტზე. ალბათ ამიტომაც, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მომავალ გეგმაში ვერ ნახავთ საკითხს, სადაც ფიზკულტურისა და სპორტის როლი არ იგულისხმებოდეს. სამაგალითოდ, თუნდაც ეს ფრაზა ავიღოთ: „სრულვყოთ დასვენების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის დასვენების ფორმები და ორგანიზაცია“. თუ გავითვალისწინებთ ფიზკულტურისა და სპორტის არა მარტო დღევანდელ, არამედ ხვალინდელ ადგილს ჩვენს ცხოვრებაში, პროექტის ამ ფორმულაში ჩვენი სფეროს წვლილიცაა გათვალისწინებული. რაც შეეხება მუშაობის ფორმებსა და ორგანიზაციას, მეტი და მეტი გულისყური, გამუდმებული ძიებაა საჭირო, რომ მხარი ავუბათ დროის მოთხოვნებს, ფიზკულტურული მოძრაობის წინსვლას, ადამიანების კეთილდღეობისთვის ზრუნვას, გონივრულად, მეცნიერული დასაბუთებით შევუხამოთ XI ხუთწლედის იმ ამოცანებს, რომელთა მიზანია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური დონის განუხრელი ამაღლება. მეათე ხუთწლედმა დაგვარწმუნა, რომ შრომით კოლექტივებში, სადაც ადამიანთა კეთილდღეობა უპირველესი საზრუნავია, თვალსაჩინოდ ჩანს უკუგება — იზრდება შრომისნაყოფიერება და სანიმუშოა პროდუქციის ხარისხი, გადაჭარბებით სრულდება გეგმა-ვალდებულებები. იმ წარმატებებში, რაც საქართველოს მშრომელებმა მოიპოვეს X ხუთწლედში, ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციების წვლილიც არის. ამიტომაც იყო, რომ ჩვენმა ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა მილიონნახევრიანმა არმიამ თავის მილოცვადაც მიიღო ამ წარმატებებთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ბრეჟნევის წერილის გულითადი სიტყვები. რესპუბლიკაში ბევრი სამაგალითო ფიზკულტურული კოლექტივი თუ საწარმოო სპორტული კლუბია, რომელთაც ამ ხუთწლედში კიდევ უფრო განამტკიცეს თავიანთი მატერიალურ-სპორტული ბაზა და მშრომელებს მხარში ედგნენ სახელმწიფო დავალებათა წარმატებით შესრულებისთვის ბრძოლაში. ქუთაისის საავტომობილო ქარხნის კოლექტივის საერთო წარმატებაში სპორტკლუბ „კოლხიდის“ წვლილი ძალზე დიდია. სოციოლოგებმა და ეკონომისტებმა დაადგინეს, რომ ის უბნები და საამქროები, რომლებმაც სოციალისტური შეჯიბრების დებულების ერთ-ერთ პუნქტად ფიზკულტურისა და სპორტის საკითხიც შეიტანეს და შრომით მიღწევებთან ერთად ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გააქტიურებაც დაისახეს, მუდამ ვადამდე ასრულებენ საწარმოო გეგმებს, პროდუქციაც მაღალი ხარისხისაა. ქარხნის ფიზკულტურელთა შრომისნაყოფიერება ხუთწლედში თითქმის 8,4 პროცენტით გაიზარდა. დიდ ეკონომიკურ ეფექტს მიაღწიეს აგრეთვე სოფლის კოლექტივებმა იმ რაიონებში, სადაც განუხრელად ზრუნავენ ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაუმჯობესებისთვის. თერჯოლის, ლანჩხუთის, წალენჯიხის, ცხაკაიას, მესტიის, გურჯაანისა და მარნეულის რაიონებმა ამ ხუთწლედში შესანიშნავი სპორტული კომპლექსები ჩააყენეს ხალხის კეთილდღეობის სამსახურში. XI ხუთწლედი ახალ გაზრდილ მოთხოვნებს გვიყენებს. ამიტომ ორმაგი გარჯა მოუწევთ იმათ, ვინც გვიან მიხვდა, რომ თანამედროვე ქალაქისა თუ სოფლის სრული სოციალური სახეცვლილება წარმოუდგენელია ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის გააქტიურების გარეშე, უამისოდ შეუძლებელია სოფელსა და ქალაქს შორის ჯერ კიდევ არსებული ზღვრის წაშლა, რაც ერთ-ერთი გადასაჭრელი ამოცანა იქნება მომავალ ხუთწლედში.

ხშირად ვამბობთ: ფიზკულტურა და სპორტი შრომისნაყოფიერების ზრდისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეზერვიაო. სრული ჭეშმარიტებაა — სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია, კომუნისტური პარტიის პროგრამა უდიდეს შესაძლებლობებს გვაძლევს, რათა გაბედულად ვეძიოთ, უფრო სრულად და ეფექტურად გამოვიყენოთ ეს რეზერვი — უდავოა, სკკპ XXVI ყრილობა, როგორც ეს ძირითადი მიმართულებების პროექტიდან ჩანს, თავის გადაწყვეტილებებში მნიშვნელოვან ადგილს მიუჩენს ამ საკითხს. ამოცანა ახლა ისაა, ღრმად შევისწავლოთ პროექტი, გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრებები და შენიშვნები. ამასთან, პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა უნდა გადაიქცეს ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ყველა უბანზე ახალ წარმატებათა სტიმულად, უნდა შევქმნათ რეალური პირობები და შესაძლებლობები, რომ ახალ ხუთწლედში ახალი ფრონტით გავშალოთ ლაშქრობა საყოველთაო ფიზკულტურულ მოძრაობაზე გადასვლისათვის.

თ. ბაჩეჩილაძე,
ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდის რესპუბლიკური ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მრეწველობის უმნიშვნელოვანესი ამოცანებია უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ სახალხო მეურნეობის მოთხოვნილება წარმოების საშუალებებზე, მოსახლეობისა კი სახალხო მოხმარების საქონელზე, უზრუნველვყოთ წარმოების ინტენსიფიკაცია და ავამაღლოთ პროდუქციის ხარისხი"...

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებების პროექტიდან.

შრომაში რომ დაგვეხმაროს...

ამ დღეებში კვების მრეწველობის ობიექტებს—თბილისის კონიაკის კომბინატსა და შამპანური ღვინოების სათაო ქარხანას ვესტუმრეთ. ორივე საწარმოს ეზოში შესვლისთანავე იდეალურ სისუფთავეს და წესრიგს იგრძნობთ, ყველაფერს მზრუნველი ხელი ატყვია, მაგრამ კონიაკის მწარმოებელთა ამ კოპწია ეზოში სპორტული მოედანი ვერსად ვნახეთ. აი, რა გვითხრა ამის თაობაზე საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარემ **გივი ცხენოსანიძემ**: მართალია, ჩვენს საწარმოს ფიზკულტურის მეთოდისტის შტატი ჰქონდა, მაგრამ წლების მანძილზე ეს პრობლემა მაინც გადაუჭრელი რჩებოდა. საქმე ისაა, რომ კომბინატი ახალგაზრდა კადრების ნაკლებობას განიცდიდა, რის გამოც ფიზკულტურის მეთოდისტებს უჭირდათ ხანდაზმულებთან მუშაობა, ეს კი აფერხებდა ფიზკულტურული და სპორტული საქმიანობის განვითარებას. გადავწყვიტეთ, ქარხნის ხელმძღვანელობის უშუალო დახმარებით მოგვეგვარებინა ახალგაზრდა კადრების დენადობის პრობლემა, მოგვეწვია ენერგიული ფიზკულტურის მეთოდისტი, ბოლოს და ბოლოს გამოგვესწორებინა ჩავარდნები სპორტსა და მშთ-ს გეგმების შესრულების საქმეში.

კომბინატის ადმინისტრაცია, პარტიული ორგანიზაცია გულისყურით მოეკიდა ამ მნიშვნელოვან საკითხს და რადიკალური ზომები მიიღო. სექტემბერში მეთოდისტად მამუკა კერვალიშვილი დაინიშნა, გამოყოფილ იქნა ტერიტორია სპორტული კომპლექსის ასაშენებლად (მშენებლობა მომავალ წელს დაიწყება). მეთერთმეტე ხუთწლედის უახლოეს წლებში ჩვენი საწარმოს მშრომელებს აუცილებლად ექნებათ კალათბურთის, ფრენბურთისა და მინი-ფეხბურთის მოედნები, ის, რაც პროექტის მიხედვით არის გათვალისწინებული, ყველა დამხმარე სათავსოთი. ნათქვამია, „როგორც გიჭირდეს, ისე გილხინდესო" და ჯერჯერობით ჩვენთან მხოლოდ ჭადრაკი, მაგიდის ჩოგბურთი, მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლა და მეთევზეობაა პოპულარული. მართალია, მთელი რიგი დაბრკოლებების გამო აქ სპორტული საქმიანობა ჩავარდნილი იყო, მაგრამ მიმდინარე წელს კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის სპარტაკიადაზე ჩვენმა მაგიდის ჩოგბურთელებმა III საპრიზო ადგილი დაიკავეს, საერთოდ კი სპორტის 5 სახეობაში მივიღეთ მონაწილეობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძირითად საამქროებში აღდგენილია საწარმოო ტანვარჯიში, კომბინატის სპორტული ორგანიზაციის არადამაკმაყოფილებელი მუშაობა არაერთხელ გამხდარა სპორტსაზოგადოება „სპარტაკის" მსჯელობის საგანი, მაგრამ ამიერიდან ძალასა და ღონეს არ დავზოგავთ და ჩვენზე აუგს აღარავის ვათქმევინებთ.

თბილისის კონიაკის კომბინატი ამაყობს მდიდარი შრომითი ტრადიციებით. აქ დამზადებული პროდუქცია მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში იგზავნება და დიდ მოწონებასაც იმსახურებს, ამიტომ დასანანია, როცა ასეთი სახელოვანი კოლექტივი რომელიღაც რგოლში მოისუსტებს. იმედს გამოვთქვამთ, რომ სკკპ XXVI ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობასთან დაკავშირებით აღებულ ვალდებულებებს კომბინატის საფაბრიკო კომიტეტი და სპორტული ორგანიზაცია პირნათლად შეასრულებენ.

თბილისის შამპანური ღვინოების საწარმოო გაერთიანების სათაო ქარხანაში 600-მდე კაცი შრომობს, აქედან 245 ფიზკულტურელია, ამ საწარმოში პოპულარობით სარგებლობს ფრენბურთი, ჭადრაკი, შაში, მაგიდის ჩოგბურთი, მძლეოსნობა, ტყვიის სროლა, ტურიზმი, თევზჭერა. ფიზკულტურის საბჭოს თავმჯდომარეა ქარხნის მთავარი შამპანისტი გ. ნანეიშვილი, მეთოდისტი კი გ. შაყულაშვილი გახლავთ.

მართალია, ეს ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა მცირერიცხოვანი კოლექტივია, მაგრამ აქაც ჰყავთ მოწინავენი როგორც შრომაში, ასევე სპორტში. ქ. გულუაშვილმა შარშან კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს პირველობაზე 100 მეტრზე სირბილში და სიგრძეზე ხტომაში I ადგილი დაიკავა. მიმდინარე წელს ბაკურიანში გამართულ რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე II ადგილი ხვდა წილად მოთხილამურე ლაბორანტს ლ. ქისტაურს, ხოლო საერთო გუნდურ ჩათვლაში მისმა გუნდმა III ადგილი მოიპოვა. ოდესღაც ქარხნის მშრომელთა განკარგულებაში იყო კეთილმოწყობილი ფეხბურთის მოედანი, მერე კი სპორტკლუბ „სინათლეს" გადაეცა. ახლა იქ შამპანური ღვინოების ქარხნის სპორტსმენები სტუმრების როლში გამოდიან...

ფიზკულტურის მეთოდისტმა გ. შაყულაშვილმა საუბრის დროს გვითხრა, რომ გასული და მიმდინარე წლის თანრიგოსან სპორტსმენთა და მშთ-ს ნიშნოსანთა მომზადების გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს, პირნათლად ეგებებიან სკკპ XXVI ყრილობას და საქართველოს კპ XXVI ყრილობას.

წელს სპორტულმა ორგანიზაციამ მოსკოვის საზაფხულო ოლიმპიურ თამაშებს შიდა საქარხნო სპარტაკიადა მიუძღვნა. ჩატარდა პირადი პირველობები მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკსა და შაშში. ხშირად აწყობენ ტურისტულ ლაშქრობებს...

• • •

იმედს გამოვთქვამთ, რომ თბილისის კონიაკის კომბინატის მშრომელები, შამპანური ქარხნის მშრომელებს ტოლს არ დაუდებენ ფიზკულტურასა და სპორტში. ახალ, XI ხუთწლედში ძირეულად გარდაქმნიან ფიზკულტურულ და სპორტულ საქმიანობას, ეს კი ხელს შეუწყობს საწარმოო მაჩვენებლების კიდევ უფრო გაუმჯობესებას.

მ. ინაშვილი,
ნ. იმედაშვილი.

* * *

სურათებზე: შესვენებაზე; **ზ. სულავა, სპირტების დაძველების საამქროს კონიაკის დამმუშავებელი, კომბინატის საუკეთესო მსროლელი; სადეგუსტაციო დარბაზის „დიასახლისი", მოჭადრაკე ც. სულაბერიძე; ოპერატორი და სპორტსმენი ლ. დუდაევა; კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის წევრები და ქარხნის სპორტსმენები (მარცხნიდან): თ. უზუნალოვა (საამქროს უფროსი), ზ. კანდელაკი, ლ. დუდაევა, მ. რაზმიაშვილი, ქ. გულუაშვილი, გ. შარაშენიძე; მიუზლეს მანქანის ოპერატორები (სპორტსმენები) ლ. ამირანაშვილი (მარცხნივ) და გ. გაჩეჩილაძე.**

ს. ვართანესოვის ფოტოები.

ქართველ სტუდენტთა წარმატება

გროდნოში დამთავრდა „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს პირველობა სპორტულ ტანვარჯიშში უმაღლესი სასწავლებლების სპორტულ კლუბებსა და ფიზიკური კულტურის ინსტიტუტებს შორის.

ასპარეზობაში მონაწილეობდნენ მოსკოვის, მინსკის, კიევის, ვოლგოგრადის, დნეპროპეტროვსკის, ლვოვის, ყაზახეთის, ყირგიზეთის და საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტების, აგრეთვე 12 სხვადასხვა რესპუბლიკის გუნდი. ჩვენი რესპუბლიკის გუნდმა შარშანდელი III საპრიზო ადგილიდან წლეულს ერთი საფეხურით აიწია. ამჯერად გაგვისწრო მხოლოდ მოსკოვის ცენტრალური ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივმა. ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის, სპორტული კლუბისა და კერძოდ ტანვარჯიშის კათედრა (კათედრის გამგე დოცენტი თ. სანებლიძე, სპორტული მუშაობის ხელმძღვანელი დოცენტი ს. თედეევი) სერიოზულ ყურადღებას აქცევენ ტანმოვარჯიშეთა მომზადებას, საქართველოს ნაკრებ გუნდებთან უშუალო კონტაქტს და აქედან გამომდინარე ინსტიტუტიც ყოველწლიურად მაღალკვალიფიციური სპორტსმენებით იღებს შევსებას.

გოგონათა შორის განსაკუთრებული ქების ღირსნი არიან ელენა გოლოვატენკო და ინგა ხატიაშვილი. ფინალში გოლოვატენკომ დვირზე I, ხოლო ორძელზე II ადგილი დაიკავა.

რაც შეეხება ინგა ხატიაშვილს, მან თავისუფალ ვარჯიშში შეუპოვარ ბრძოლაში პირველობა დაუთმო კიეველ სტუდენტს თ. პისკუნს და II ადგილზე გამოვიდა.

ვაჟთა შორის პავლე ლეონტიევმა და კობა სულთანიშვილმა ფინალში ორძელსა და ღერძზე შესაბამისად II და III ადგილები დაიკავეს.

გოგონათა გუნდი მოამზადა ჯემალ სანიკიძემ, ვაჟებისა — ნიკოლოზ ლემკაშელმა.

მ. ცხვედაძე,
საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ტანვარჯიშის კათედრის უფროსი მასწავლებელი.

მშთ-ს პროგრამით

ახმეტაში ორ დღეს მიმდინარეობდა სარაიონო ზონალური პირველობა მშთ მრავალჭიდის პროგრამით მოკლე მანძილებზე რბენასა და სიგრძეზე ხტომაში. სტარტზე გამოვიდა 15 საშუალო და 8 რვაწლიანი სკოლების 500-ზე მეტი მოსწავლე.

საშუალო სკოლების მოსწავლეთა შეჯიბრება მოიგო ახმეტის სკოლა-ინტერნატის გუნდმა, რვაწლიან სკოლებში იმარჯვეს სოფ. ჯოყოლოს სკოლის აღსაზრდელებმა.

ბ. ნასიბაშვილი.

აღიარება

ამ დღეებში კუიბიშევის საცურაო აუზში გამართულ ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატის ბრძოლებს წყალხტომაში ფართოდ აშუქებს საკავშირო პრესა. განსაკუთრებით აღნიშნავენ თბილისელი მწვრთნელის ი. გუტიაკულოვის აღზრდილ სპორტსმენთა წარმატებებს. ასე მაგალითად, გაზეთი „სოვეტსკი სპორტი" წერს: „ასპარეზობის ჯილდოების ბოლო კომპლექტი გათამაშდა ვაჟთა ერთმეტრიანი ტრამპლინიდან და ქალთა 7,5-მეტრიანი კოშკიდან ხტომებში. პირველ სახეობაში გაიმარჯვა თბილისელმა გ. მასლოვმა. რაც შეეხება მოსკოვის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორ ლ. ცოტაძეს, იგი კონკურენციის გარეშე აღმოჩნდა.

ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატს ლ. ცოტაძე შესანიშნავ სპორტულ ფორმაში შეხვდა. იგი ერთმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში ფინალისტთა შორის მოხვდა, რაც მისი ოსტატობის სტაბილურობის მაჩვენებელია. 7,5-მეტრიანი კოშკიდან ასპარეზობაში კი ლიანას ბადალი არ ჰყოლია. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მისმა მეტოქეებმა — თ. ალიაბიევამ და ო. კორზოვამაც მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს ჩემპიონს და უბრძოლველად არ დანებებულან, მაგრამ მათ ნებისყოფამ უმტყუნა ნებისმიერი პროგრამით გამოსვლებში. ცოტაძემ დამაჯერებლად და უზადოდ განვლო მთელი ტურნირი. მისი და თბილისელი ს. შალიბაშვილის წარმატება, რომელმაც ტოლი არავის დაუდო 7,5-მეტრიან კოშკიდან ხტომაში, ი. გუტიაკულოვის დამსახურებაა. მის მოსწავლეებს ადვილად იცნობთ, რადგან მათი გამოსვლები სტილითა და უნაკლო შესრულებით მართლაც ყველასგან გამოირჩევა".

ნორჩების გამოცდა

თბილისში დამთავრდა „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა ფარიკაობაში, რომელშიც თერთმეტი კოლექტივი მონაწილეობდა. საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს რსფსრ-ის სპორტსმენებმა. საქართველოს სტუდენტებმა მე-4 ადგილი დაიკავეს. ვესაუბრეთ შეჯიბრების მთავარ მსაჯს, საკავშირო კატეგორიის არბიტრს ს. აჯიმამუდოვს.

ასპარეზობა ორ ასაკობრივ ჯგუფად ჩატარდა 1963-64 და 1965-66 წლებში დაბადებულთა შორის. ჩვენი რესპუბლიკიდან კარგად გამოვიდა დ. თურქია (ხმალი), რომელმაც უფროსთა ჯგუფში I ადგილი დაიკავა. ამავე სახეობაში III პრიზიორი გახდა პ. ტაბატაძე. უმცროსი ასაკის დაშნით ფარიკაობაშიც საქართველოს წარმომადგენელი ა. მახარაძე იყო უძლიერესი. „ვერცხლის" პრიზიორი გახდა ჯ. გამიაშვილი, ხოლო რაპირით მოასპარეზეთა შორის (უმცროსი ასაკი) III საპრიზო ადგილი ზ. დოლიძემ დაიკავა. უფროსი ასაკის ხმლით მოფარიკავეთა გუნდურ ასპარეზობაში გაიმარჯვეს საქართველოს სპორტსმენებმა. დანარჩენ სახეობებში უმცროსი ასაკის მოფარიკავეებში ჩემპიონები გახდნენ ვ. ზარუბინი (უზბეკეთი), ტ. სადოვსკაია და ბ. ფირსტოვი (ორივე—რსფსრ). უფროსი ასაკის მოფარიკავეებიდან იმარჯვეს მ. იანოვამ (ბელორუსია), მ. სარქისოვამ (აზერბაიჯანი) და ა. კუტუზოვამ (ლენინგრადი).

გ. ამირხანოვი.

ჯანმრთელობისთვის მთებში

ჩრდილო ოსეთის მთებში პირველი თოვლი მოვიდა. ალპიური ფერდობები ნამდვილ კავკასიურ თეთრ ქულაჯებში გაეხვია. გამოცოცხლდა ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქის მიდამოებში გაკვალული სათხილამურო ბილიკები. აქ, მოთხილამურეთა პირველ ალპურ ზეიმზე მოვიდა სამთო სპორტის ათასობით მოყვარული, რომელთა შორის იყვნენ: მოსწავლეები, სტუდენტები, მანქანათმშენებლები, ენერგეტიკოსები, მეტალურგები...

სუარი ჩრდილო კავკასიის ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი ხეობაა. ორჯონიკიძედან აქამდე ავტობუსი ნახევარ საათში მოდის. სამთომოთხილამურეებისთვის მრავლადაა შესანიშნავი სწრაფდაშვების ტრასები, სუფთა მთის ჰაერი, სოჭისა და არყის ხეები, საბაგირო გზები.

ზამთრის სპორტის მოყვარულებს მრავალი სიურპრიზი ელით. ჩრდილო ოსეთის ხეობებში განლაგებულია პროფკავშირთა დასვენების ბაზები, პროფილაქტორიუმები, რომლებსაც ყოველ შაბათ-კვირას ათი ათასამდე დამსვენებლის მიღება შეუძლია. აქ მათ განკარგულებაშია სპორტინვენტარის გამქირავებელი პუნქტები, სათხილამურო ბაზები. გამოცდილი ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით შეიძლება დაეუფლო სამთო-სათხილამურო სპორტის საიდუმლოებებს.

ავტონომიური რესპუბლიკის ბევრი სამრეწველო საწარმოს სოციალური განვითარების გეგმაში მთავარი მშრომელი ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვაა. ფაბრიკების სახსრებით აშენდა 42 ჯანმრთელობის ქალაქი და დასვენების ბაზა. ყველა პირობაა შექმნილი თხილამურებით მასობრივი გასვლებისთვის.

სპორტსმენთა პირველი ნაკადის მისაღებად უკვე მზადაა საკავშირო სამთო-სათხილამურო ბანაკი „ტორპედო“, რომელიც ცეის ხეობაშია გაშენებული. იგი კარგა ხანია დასვენების მნიშვნელოვან კერად გადაიქცა. ამას წინათ მწყობრში ჩადგა სამგზავრო-საბაგირო გზა, რომლის მეშვეობითაც ზღვის დონიდან 3 ათას მეტრზე ასვლა რამდენიმე წუთში შეიძლება. სამთო-სათხილამურო ტრასები სწორედ იქიდან იწყება, თოვლი კი ამ ხეობაში თითქმის მთელი წლის მანძილზე არ დნება და ამიტომ სამთო-სათხილამურო სპორტში მეცადინეობა ზაფხულშიც არ წყდება.

(საქდეხი).

რამდენიმე სტრიქონით

ვანი

2 თვეს მიმდინარეობდა „კოლმეურნის“ რაისაბჭოს პირველობა ფეხბურთში 10 კოლექტივის მონაწილეობით.

I ადგილი დაიკავა სოფ. დიხაშხოს კოლმეურნეობის გუნდმა (კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნ. შენგელია, ინსტრუქტორ-მეთოდისტი ჯ. ვერულაშვილი). მომდევნო ადგილებზე არიან სალხინოს კოლმეურნეობისა და ვანის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის ფეხბურთელები.

ი. ნიკოლეიშვილი.
(„ლელოს“ კორ.).

ჩხოროწყუ

დამთავრდა ფეხბურთელთა სარაიონო პირველობის ზონალური შეხვედრები, სადაც პირველი ადგილები დაიკავეს: ლესიჭინის რუსთაველის სახელობის საბჭოთა მეურნეობის, მუხურის რუსთაველისა და დაბა ჩხოროწყუს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის გუნდებმა.

ზონებში გამარჯვებულნი ფინალში იასპარეზებენ.

ი. ნაჭყებია.
(„ლელოს“ კორ.).

რ ი ჰ ა!

დაკოჟრილი ხელები

მესტიაში გვითხრეს, ლატალელები საერთოდ მთელ მესტიის რაიონში სიმღერისა და ცეკვის ნიჭით მადლფენილი ხალხიაო.

ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში დავრწმუნდით, როცა გასულ შაბათს ლატალში ახალგაზრდული ზეიმი — „ჩვენ — სვანეთის ახალგაზრდობა“ გაიმართა. აქ ყველასათვის ძვირფასი ფოტოხელოვანისა და მთამსვლელის — გურამ თიკანაძის სახელობის ახალგაზრდული კლუბი გაიხსნა. კლუბს „რიჰა“ უწოდეს.

შუადღისას დაწყებულმა ზეიმმა, რომელზეც დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი, გვიან სალამომდე გასტანა. აქ იყვნენ გურამის ნაცნობ-მეგობრები, ნათესავები, მისი ნიჭის თაყვანისმცემლები.

ახალგაზრდული კლუბი საზოგადოებრივ საწყისებზე აშენდა. „რიჰა“ მეოთხე ნაგებობაა, რომელიც მესტიელმა ახალგაზრდებმა უსასყიდლოდ ააშენეს.

— როგორ წარმოგიდგენიათ „რიჰას“ მომავალი? —ვეკითხებით მესტიის რაიონის კომკავშირელთა თავკაცს ბორის კახიანს.

— აქ იქნება მოჭიდავეთა, მოკრივეთა და ძალოსანთა დარბაზი. სახვითი ხელოვნების გალერეა; სიმღერისა და ცეკვის ოსტატებს შესაძლებლობა ექნებათ აჩვენონ თავიანთი ხელოვნება; აქვე ბინას დაიდებს ლატალელი ახალგაზრდების ცენტრი, ოღონდაც, ერთი თხოვნა გვაქვს —კარგი იქნება, თუ რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობის ხელმძღვანელები და განათლების სამინისტრო აქ სპორტსკოლასაც გახსნიან.

— ვინ გამოიჩინა თავი „რიჰას“ მშენებლობაში?

— ყველას რა ჩამოთვლის, „რიჰას“ აშენებდნენ ლატალელი კომკავშირელები, მესტიის რაიონის ახალგაზრდები და არა მხოლოდ ისინი. დიდ დახმარებას გვიწევდნენ მთელი რიგი სამინისტროები, უწყებები და, რა თქმა უნდა, პარტიის მესტიის რაიკომი.

ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ მესტიის რაიონში ახალგაზრდობის ოთხივე ცენტრის მშენებლობის ინიციატორი და ორგანიზატორი ბორის კახიანი გახლდათ. იგი არა მხოლოდ ხელმძღვანელობდა და რაზმავდა ახალგაზრდებს, არამედ პირად მაგალითსაც აძლევდა მათ. ამის მოწმე არაერთხელ ვყოფილვარ და ახლაც „რიჰას“ გახსნის საზეიმო დღეს კახიანის ხელებს ვერაფრით გამოარჩევდით სხვა ახალგაზრდების დაკოჟრილი ხელებისაგან. მათი ნახელავი კი მართლაც ძვირფასი საჩუქარი გამოდგა ლატალელი ახალგაზრდობისთვის, საერთოდ სოფლისთვის და მესტიის რაიონისთვის.

კლუბს სამი დიდი დარბაზი აქვს, მესამე სართულზე საგამოფენო დარბაზია მოწყობილი. იქვეა გამოფენილი გურამ თიკანაძის ნამუშევრების ერთი ნაწილი. ყოველი ფოტოსურათი სიამოვნებას გვანიჭებს და გვაფიქრებს. ერთ-ერთ მათგანთან ვჩერდებით, რომელსაც „მოწყვეტა აილამას ქედიდან“ ჰქვია.

ფოტოსურათებში წაკითხული ბიოგრაფია

კადრში ყინულის შვეული კედელია. ბუნება პირქუშად გამოიყურება: ყინულს ზემოდან ლავგარდანი გადმომხობია, ქვემოთ კი ალაგ-ალაგ ავისმომასწავებელი ტყვიისფერი დასდებია.

თოვს.

ეს წამია ყინულის კედელზე მთამსვლელი მოწყვეტილა და ხელებით თოკს ჩაფრენია. წრიაპებიანი ფეხები, ერთი ამოსუნთქვის წინ ყინულს რომ კბილებით ეჭიდებოდნენ, ახლა ჰაერში უმწეოდ და უსუსურად სავსავებენ.

იქნებ მოულოდნელი, მკვეთრი მოწყვეტის შემდეგ მთამსვლელმა ვერც შეიკავოს საკუთარი სიმძიმე, მაგრამ იგი ალბათ განწირული მაინც არ არის — მთამსვლელს ძირითად თოკზე უთუოდ ექნება გამობმული დამხმარეც, - მაგრამ თუ პალომ მკვეთრ დაქაჩვას ვერ გაუძლო, მაშინ ალპინისტს აღარაფერი უშველის — ელვის უსწრაფესად ჩაიქროლებს უძირო, ჩაშავებული უფსკრულისაკენ.

კიდევ ერთი ამოსუნთქვა, წამი, ან კიდევ უფრო ნაკლებიც და, არავინ უწყის რით დასრულდება „მოწყვეტა აილამას ქედიდან“. არის სასოწარკვეთაც და იმედიც. სურათი გვაღელვებს და სულს გვიფორიაქებს. მნახველს ფიქრისა და განსჯის საშუალებას უტოვებს — დაე, მან გადაწყვიტოს ხიფათში ჩავარდნილი მთამსვლელის ბედი.

ვინ იცის, ამ ფოტოს იქნებ სწორედ აილამის ქედზე თავსგადახდენილი ხიფათი დაედო საფუძვლად, რომელიც გურამსა და მის მეგობრებს შეემთხვათ. თვითონ გურამი თავის „დამარცხებულ გოლიათებში“ ამ ფათერაკს ასე აღწერს:

„...თოკმა მძლავრად დამქაჩა. რა მოხდა, აღარ მახსოვს... კარგა ხნის შემდეგ გამოვფხიზლდი. ვეკიდეთ კლდის ნაპრალში მტკიცედ ჩაკრულ პალოზე გამობმულ თოკზე“...

ამ სიტყვების ავტორს პირადად არ ვიცნობდი, სხვათა სოცრად თბილი მოგონებების, ნაამბობისა და წერილების შემდეგ გახდა იგი ჩემთვისაც ახლობელი.

გურამის სიყვარული განსაკუთრებით უშგულელების გულში ჩაბუდებულა ძალუმად. სწორედ უშგული იყო პირველი სოფელი, სადაც მისი ცხედარი დაიტირეს. როცა უშგულში და, საერთოდ სვანეთში ავსულვარ, ყველა ოჯახში შეუსვამთ გურამის მოსაგონარი, დიდი სითბოთი გაუხსენებიათ მასთან შეხვედრის თითოეული ეპიზოდი.

ამას რომ ვამბობ, თვალწინ მიდგას ალპინისტთა დიდი მოამაგის, უშბის მისადგომებთან, სოფელ უშხვნარში მცხოვრები მაკრინე ქერდიანის აცრემლებული თვალები, გურამთან უკანასკნელ შეხვედრას რომ იხსენებდა:

— 1963 წლის აგვისტო იყო. გურამსა და მის მეგობრებს შხარაზე ასვლა უნდოდათ. ნებას არ აძლევდნენ. ბოლოს დასტურიც მიიღეს. გურამი აქოშინებული, თვალებაციმციმებული შემოვარდა ეზოში, დეიდა მაკრინე, ნებართვა მივიღეთო — მითხრა. სახლში არც შემოვიდა, ისე გამომემშვიდობა და დაღმართზე სირბილით დაეშვა გახარებული. წავიდა და წავიდა ჩემი გურამი. შხარიდან ცოცხალი აღარ დაბრუნებულა, — მიამბობდა ყოველივე ამას და თან ათრთოლებული ხელით ელერსებოდა გურამის სურათებს.

ძალზე საინტერესოა ჩეხოსლოვაკიურ ჟურნალ „რევიუში“ გამოქვეყნებული სიტყვებიც:

„ჟურნალის ეს ნომერი უკვე იბეჭდებოდა, როცა შევიტყვეთ ფოტოხელოვანისა და ალპინისტის გურამ თიკანაძის დაღუპვის ამბავი. მისი სახით საბჭოთა ხელოვნებამ დაკარგა უნიჭიერესი ახალგაზრდა ოსტატი, ხოლო ჩვენმა რედაქციამ — სიმპათიური თანამშრომელი და მეგობარი“.

საერთოდ, ჩეხოსლოვაკიაში მაღალ შეფასებას აძლევდნენ გურამ თიკანაძის შემოქმედებას. პრალაში პერსონალური გამოფენაც მოუწყვეს. მისი ნამუშევრები იბეჭდებოდა ჟურნალებში: „სვეტ სოვეტსა“ და „სვეტ სოციალიზმუში“, აგრეთვე, პოლონეთის „ფშნნიაზნში“, გდრ-ის „ფრეიეველტში“...

როცა გურამ თიკანაძის ნამუშევრებს, შესანიშნავ ფოტოსურათებს ვათვალიერებ, კიდევ უფრო ახლოს ვეცნობი ავტორის სულიერ სამყაროს, მისწრაფებებს, ოცნებებს...

1973 წელს თბილისში, „მერანის“ საგამოფენო დარბაზში გურამ თიკანაძის ნამუშევრების გამოფენა მოეწყო. ვათვალიერებდი ერთად თავმოყრილ ფოტოებს და თითქოს მათი ავტორის ბიოგრაფიის ფურცლებსაც ვკითხულობდი. 140 ფოტო იყო ექსპონირებული და ასორმოცივე გურამ თიკანაძის ბიოგრაფიის ფრაგმენტები გახლდათ.

განა ავტობიოგრაფიული არ არის „თენსინგი და ია“, „ლექვი ლომისა სწორია“, „თვითონ გურამი“...

შერპი თენსინგი დედამიწის უმაღლესი მწვერვალის — ჯომოლუნგმას პირველდამპყრობთა ახალზელანდიელ ჰილართან ერთად, ია კი — გურამის ერთადერთი შვილი.

ფოტოსურათი „ლეკვი ლომისა სწორია“ გურამის დას — რუსუდანს გვაცნობს. რუსუდანი, ვაჟებთან ერთად ერთ თოკში ჩაბმული და უძირო, ყინულოვანი ნაპრალის თავზე კამარა შეუკრავს.

ეს სურათი და სათაური გურამის მსოფლმხედველობაზეც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის.

„თვითონ გურამი“...

გურამს მაღალ, თოვლიან მთებში კინოკამერა მოუმარჯვებია. დიახ, თიკანაძე მთაში ნანახსა და განცდილს კინოფირზეც აღბეჭდავდა ხოლმე, რათა მერე ბარში ჩამოეტანა და ნაცნობ-მეგობრებისთვის და უცნობებისათვისაც კი გაეზიარებინა საკუთარი სიხარული.

გურამის ერთ-ერთ ჩანაწერში ვკითხულობთ:

„გეოლოგიაში დავრჩე, ფოტორეპორტიორობას მოვკიდო ხელი თუ ოპერატორობას. გაოცებას ვარ... ჯერხნობით ყველაფერს დინებას ვაძლევ. მე მგონი, დინება ფოტორეპორტაჟთან მიმიყვანს“...

ეს ჩანაწერი 1956 წელს გაუკეთებია, როცა თბილისის უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტს ამთავრებდა გეოლოგიის განხრით. გასაგებიც იყო მისი ესოდენ გაურკვევლობა. მერე ერთხანს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის ინსტიტუტში მუშაობდა უფროს მეცნიერ თანამშრომლად. მუშაობდა ჟურნალ „დროშის“ ფოტოკორესპონდენტად. არჩეული იყო თბილისის ჟურნალისტთა კავშირის ფოტოსექციის თავმჯდომარედ. გატაცებული იყო ცურვით და შესანიშნავადაც ცურავდა. სრიალებდა თხილამურებით, კრივში კი პირველთანრიგოსანი გახლდათ, მაგრამ ბოლოს მაინც მთებისკენ მიმავალ ბილიკს დაადგა განუყრელი თანამგზავრით — ფოტოაპარატით. ალპინიზმშიც და ფოტოგრაფიაშიც უმაღლესი მწვერვალების დაპყრობას ლამობდა და იპყრობდა კიდეც. ამისი დასტურია საკავშირო ჩემპიონატში მოპოვებული ვერცხლის მედალი, 1954 და 1957 წლებში პამირის მაღალმთიან ექსპედიციაში აქტიური მონაწილეობისთვის მიღებული ტაჯიკეთისა და საქართველოს უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელები და 1962 წელს მოდენის საერთაშორისო ფოტოკონკურსში მოპოვებული ბრინჯაოს მედალი, რომელიც „თბილისის ზღვამ“ დაიმსახურა. ეს ამბავი ოქროს ასოებით ჩაიწერა არა მხოლოდ გურამ თიკანაძის ბიოგრაფიაში, არამედ საერთოდ ქართული ფოტოგრაფიის მატიანეში. გურამის „ბრინჯაო“ პირველი მერცხალი გახლდათ საქართველოს ფოტოხელოვნების ისტორიაში.

გურამს საოცრად პოეტური თვალი ჰქონდა. ამ მხრივ სხვა ნამუშევართა შორის განსაკუთრებით საინტერესოა „წყლის სიმღერა“, „აისი მთაში“...

„წყლის სიმღერა“ შავ-თეთრი ფოტოსურათია. კადრში მხოლოდ ზღვის მოსარკული ზედაპირი და ნიჩაბია. ნიჩაბი ეს-ესაა წყლიდან ამოუღიათ და მისგან წვეთები ცვივა. ვუყურებთ ნიჩბიდან მოწყვეტილ, ჩამავალი მზის შუქზე ჰაერივით გამჭვირვალე წვეთებს და წყლის საამო სიმღერა ჩაგვესმის.

„აისი მთაში“ ფერადი სურათია. იგი ფერთა საოცარი სიმფონიით გვხიბლავს.

როცა პრალაში გურამ თიკანაძეს გამოფენა მოუწყვეს, ჩეხ მწერალს კოჰოუტს ქართველი ფოტოხელოვნისთვის უთქვამს — თქვენ ნამდვილი პოეტი ხართ, ვწუხვარ, რომ აქამდე არ გიცნობდითო.

გურამის მეგობარი, პროფესორი სარგის ცაიშვილი კი ამბობს:

„თვით გურამი აღნაგობითაც ხელოვნების ნიმუშს წააგავდა. ახოვანი, ძლიერი ტანის, მოგრძო სახეზე სუფთა ცისფერი თვალებით, ანტიური ცხვირითა და მისებრ ვაჟკაცისთვის მოულოდნელი სახის ნაზი კანით. გულიდან მოხეთქილი სიცილი კი მყისვე გაგრძნობინებდათ მისი პატრონის ზნეობრივ სისპეტაკეს“.

და ბოლოს, ისევ „მოწყვეტა აილამას“ ქედიდან:

ეს სურათი უთუოდ ავტობიოგრაფიულია. თუმცა მართალია, ფოტოზე გურამის მეგობარი მთამსვლელის ხიფათია ასახული, მაგრამ ავტორმა თავისივე მომავალიც აღბეჭდა ფირზე. გურამიც ასეთ ფრიალო, შვეულ კედელზე მოწყდა. საკუთარმა პალომ უმუხთლა და „კადრს“ ქვემოთ, მთელი სამასი მეტრით ქვემოთ ჩაიქროლა. ზემოთ კი, თოვლსა და ქარში ერთ ადგილზე გაყინულნი, გაოგნებულნი და თავზარდაცემული გურამის მეგობრები დარჩნენ.

„ჯუმბერი, კუხო და ილიკო!... საშინელებაა, ალპინიზმი უმსხვერპლოდ შეუძლებელია. 1962 წელი, გურამ თიკანაძე“.

ეს სიტყვები ერთი წლის მერე თვითონ გურამზეც გამართლდა.

* * *

...„**რიჰა**“ ერთ-ერთი სვანური სიმღერის სახელწოდებაა. იგი განთიადის დასაწყისის საგალობელია. გურამ თიკანაძის სახელობის ახალგაზრდული კლუბის „რიჰას“ აშენებაც ლატალელი ახალგაზრდების განთიადის დასაწყისია, მათი დიდი გზის დასაწყისი.

ა. გურასაშვილი.
(„ლელოს“ სპეც. კორ.).

* * *

სურათებზე: ზემოთ — გ. თიკანაძის სახელობის ახალგაზრდული კლუბის მშენებელთა ერთი ჯგუფი. დგანან: რ. ნაკანი (მარცხნიდან), ა. კვანჭიანი, რ. ფარჯიანი, თ. თამლიანი, კ. გვიჩიანი, თ. ფარჯიანი, სხედან გ. ახუნბანი და გ. გურჩიანი; კლუბის დამთვალიერებლები ეცნობიან გ. თიკანაძის ბიბლიოთეკას.

ავტორის ფოტოები.

პანორამა

● კალათბურთი

გუშინწინ კალათბურთელ ვაჟთა გუნდების უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატში ცსკა-მ უმასპინძლა რიგის ვეფ-ს და გაიმარჯვა — 127:87 (69:29).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 2 დეკემბრისთვის

	თ.	მ.	ბ.	ქ.
ცსკა	13	13	1339—1030	26
„დინ.“ (მოს.)	14	9	1424—1365	23
„სპარტაკი“	13	9	1130—1061	22
„სტატიბა“	12	9	1084—1066	21
„სტროიტ.“	12	7	1003—995	19
„დინ.“ (თბ.)	12	7	1018—1070	19
„კალევი“	13	5	1046—1080	18
რტი	12	5	1053—1047	17
„ჟალგ.“	12	5	1009—1004	17
ასკ ქ.	12	5	1046—1042	17
„ლოკომ.“	13	2	1105—1215	15
ვეფ-ი	14	1	1277—1569	15
„უნივერს.“	10	4	788—878	14

● ციგაობა

დამთავრდა მოციგავეთა საერთაშორისო შეჯიბრება „სამი ტრასის ტურნე“. ასპარეზობაში წარმატებას მიაღწია 20 წლის საბჭოთა სპორტსმენმა ს. დანილინმა. პირველ ტრასაზე იგლსში იგი ერთადგილიანებით დაშვებაში მხოლოდ მეხუთე ადგილზე გავიდა. მეორე ეტაპზე — კიონგზეში მესამე იყო. ბოლო შეჯიბრება ობერჰოფში ჩატარდა. დანილინმა აქ ყველას აჯობა — ტრასა 2 წუთსა და 21,09 წამში გაიარა.

● თხილამურები

სვერდლოვსკის მიდამოებში დაიწყო ტრადიციული საკავშირო შეჯიბრება თხილამურებით რბენაში „ურალის თასზე“. პირველ დღეს ქალები 5, ხოლო ვაჟები 10 კილომეტრზე რბენაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ქალთა შორის ყველას აჯობა ლეიკ-პლესიდის ოლიმპიადის ჩემპიონმა რ. სმეტანინამ — 20.36. მას 14 წამით ჩამორჩა ლენინგრადელი რ. ხვოროვა. ვაჟთა შეჯიბრებაში აღიარებულ ფავორიტებს აჯობა ა. ჩაიკომ (მოსკოვი) — 29.42. ფინიშთან მეორე იყო ქვეყნის ნაკრების წევრი, სიკტივკარელი ნ. ბაჟუკოვი 29.48.

● კრივი

იუგოსლავიის 4 ქალაქში გაიმართა უნგრეთის, პოლონეთის, რუმინეთის, საბჭოთა კავშირის, ტუნისის, საფრანგეთისა და იუგოსლავიის სპორტსმენთა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც 106 მოკრივე მონაწილეობდა. ამ ბრძოლებში 5 საბჭოთა ოსტატი ცდიდა ძალას. სამმა მათგანმა — ყარაგანდელმა ს. ნურკაზოვმა (57 კგ-მდე), ჩელიაბინსკელმა პ. გალკინმა (67 კგ) და ვილნიუსელმა ი. სილიავიჩიუსმა (81 კგ-ს ზევით) მოიპოვა ფინალში მონაწილეობის უფლება. შემდეგ მათ ბელგრადის რინგზე შეძლეს პირველი ადგილების დასაკუთრება. 54 კგ წონის კიროვაკანელი ს. ხაჩატრიანი მესამე ადგილზე გავიდა. მან ნახევარფინალში წააგო იუგოსლაველ ამიჩოვიჩთან. ეს ბრძოლა ქ. კრაგუევაცში ჩატარდა.

ყველაზე ტექნიკურ მოკრივედ აღიარეს გალკინი.

პანორამა

მოსწავლეთა XVI საკავშირო სპარტაკიადა: როგორ ვეგებებით მას?

ფალავნის სახელის უკვდავსაყოფად

მოსწავლეთა XVI საკავშირო სპარტაკიადისთვის მზადება გადამწყვეტ ფაზაში შედის. ამ ეტაპზე ჩატარებული ყველა ასპარეზობა რა მასშტაბისაც არ უნდა იყოს, იგი, კიდევ ერთხელ ნათლად გვიჩვენებს ნაკრები გუნდის კანდიდატების სპორტული მომზადების დონეს, წარმოგვიჩენს ხარვეზებს.

ასე იყო გორში გამართულ მოსწავლე-ძიუდოისტთა საკავშირო ტურნირზე, რომელშიც მოსკოვის, ბელორუსიის, უკრაინის, უზბეკეთის, ყირგიზეთის, სომხეთის, საქართველოს, გორის, ქარელის, მესტიისა და ზესტაფონის ნაკრები გუნდების 150-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა.

გუნდური I ადგილი საქართველოს ნაკრებმა დაიკავა, II იყო გორის, ხოლო III — უკრაინის კოლექტივები.

პირად პირველობაში ქართველმა ძიუდოისტებმა 7 წონითი კატეგორიიდან 6 პირველი ადგილი მოიპოვეს, მაგრამ ეს გამარჯვება დიდ წარმატებად არ შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ამ ტურნირში მონაწილეობა არ მიუღიათ ჩვენს ძირითად კონკურენტებს — რსფსრ-ის, მოლდავეთის, ლენინგრადის, ლიტვისა და ლატვიის ნაკრებ გუნდებს.

სუსტად იასპარეზეს ჩვენმა ძიუდოისტებმა მძიმე წონით კატეგორიაში. თუ ადრე ტრადიციულად სწორედ ამ წონაში გვყავდა უძლიერესი ფალავნები და მათს ხარჯზე მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადებზე ადვილად ვაღწევდით წარმატებებს, ამჯერად მდგომარეობა შეიცვალა. აქ უძლიერესნი იყვნენ უზბეკეთის წარმომადგენელი ვ. რიაბინინი და უკრაინელი ა. ბელოუსოვი, მათ ადვილად სძლიეს ყველა მოწინააღმდეგეს და ფინალში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ. შეუპოვარ ბრძოლაში გაიმარჯვა ვ. რიაბინინმა.

ტურნირმა გვიჩვენა ისიც, რომ ჩვენი ძიუდოისტები ტაქტიკურად სუსტად არიან მომზადებული, უჭირთ ჭიდაობა, ეგრეთწოდებულ „საშიშ ზონაში“, ნაკლებად ფლობენ მტკივნეულ და მახრჩობელა ილეთებს.

სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ ამ ტურნირზე დაწესდა ცნობილი ქართველი ფალავნის, საბჭოთა კავშირის არაერთგზის ჩემპიონის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის დურმიშხან ბერუაშვილის სახელობის თასი, რომელიც ამიერიდან ყოველწლიურად გათამაშდება. გამარჯვებულ გუნდს ეს თასი გადასცა დ. ბერუაშვილის ვაჟმა ე. ბერუაშვილმა.

გაგაცნობთ პრიზიორებს წონითი კატეგორიების მიხედვით:

53 კგ. ს. კაბანჩენკო, ა. გოგოლაძე, გ. ზაუტაშვილი (სამივე—საქართველო) და ა. არუთინიანი (სომხეთი);

57 კგ. ე. ჯანგირაშვილი, ი. სუხაშვილი, კ. ილურიძე (სამივე — საქართველო) და კ. [illegible] (ყირგიზეთი);

62 კგ. გ. კარულიძე (გორი), ძ. ვასილენკო (უკრაინა), გ. გოგოლაური და ი. ბოლოთაშვილი (ორივე—საქართველო);

68 კგ. ე. გოგიჩაშვილი, ვ. გაზდელიანი (ორივე — საქართველო), ა. ჩარაევი (გორი) და ე. ნაკანი (მესტია);

75 კგ. ა. თენაძე, პ. ბადაშვილი, დ. ლოხიშვილი (სამივე — საქართველო) და ა. რიახოვი (უზბეკეთი);

83 კგ. რ. გოჯიაშვილი (საქართველო), ა. პოპოვი (მოსკოვი), ლ. გუბსკი (უკრაინა) და დ. ვარძელაშვილი (საქართველო);

მძიმე წონა. ვ. რიაბინინი (უზბეკეთი), ა. ბელოუსოვი (უკრაინა), ა. ხაჩიძე (საქართველო) და ვ. ბოლოთაევი (გორი).

ი. იმერლიშვილი,
საქართველოს განათლების სამინისტროს მთავარი მწვრთნელი ძიუდოში, სპორტის ოსტატი.

● ფეხბურთი

„ტრუდის“ ანკეტა

გაზეთ „ტრუდის“ რედაქციის სპორტულ ჟურნალისტთა და კომენტატორთა ტრადიციული გამოკითხვის შედეგად ნოემბრის საუკეთესო ფეხბურთელად მიჩნეულია ცსკა-ს მოთამაშე ა. ტარხანოვი.

შეგახსენებთ, რომ წლეულს „ტრუდის“ ლაურეატები ა. ტარხანოვის გარდა, სხვადასხვა თვეში იყვნენ: ნ. ნარტაჯიევი („ფახთაქორი“), რ. დასაევი („სპარტაკი“), ფ. ჩერენკოვი („სპარტაკი“), ო. ბლოხინი („დინამო“, კიევი) და ა. ჩივაძე („დინამო“, თბილისი).

„გადასასვლელის“ ფინალში

ადლერის სტადიონზე დამთავრდა მოზარდ ფეხბურთელთა (17-20 წლისანი) საკავშირო შეჯიბრების ფინალური შეხვედრები „გადასასვლელის“ პრიზზე.

პირველი ადგილისთვის იბრძოდნენ ტაჯიკეთისა და მოლდავეთის ნაკრები გუნდები. მატჩის ძირითად დროში გამარჯვებული ვერ გამოვლინდა — 0:0. დამატებითი პენალტების სერიაში კი იმარჯვეს ტაჯიკეთის ფეხბურთელებმა — 5:4, რომლებმაც მოიპოვეს მთავარი პრიზი.

III ადგილისთვის ერთმანეთს შეხვდნენ რსფსრ-სა და საქართველოს გუნდები. წარმატება წილად ხვდა რსფსრ-ს ნაკრებს — 2:1.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ახალი პელე?

პელეს წასვლის შემდეგ ბრაზილიურ ფეხბურთში „უკერპოდ“ დარჩენილი გულშემატკივრები იმედის თვალით შეჰყურებენ ნიჭიერ იუნიორს, 16 წლის რიკარდო ნევესს. მწვრთნელები ფიქრობენ, რომ მისგან შეიძლება ნამდვილი „ვარსკვლავი“ დადგეს. რიკარდოსთან უკვე დადო კონტრაქტი „ატლეტიკო მინეირომ“, სადაც იგი იუნიორთა შორის თავდამსხმელად თამაშობს, „რიკარდო გრძნობს სად და როდის უნდა „გაიხსნას“, შესანიშნავად ესმის თამაში, მას ბურთის კონტროლის არაჩვეულებრივი ნიჭი აქვს“ — თქვა კლუბის წარმომადგენელმა.

რიკარდომ უკვე ჰპოვა საერთაშორისო აღიარება, თუმცა ჯერ მხოლოდ ბურთის ჟონგლირებისთვის. სატელევიზიო გადაცემაში— „ფეხბურთის ახალი ამბები“ აჩვენეს რიკარდოს ოსტატობა. მისი გამოსვლით გაოცებული ტელემაყურებლები რეკავდნენ ტელევიზიაში და კითხულობდნენ რაც ვნახეთ, ფოტოტრიუკი ხომ არ იყოო.

რიკარდომ ბურთით ვარჯიში 4 წლისამ დაიწყო, ამჟამად კი მწვრთნელთა მეთვალყურეობის ქვეშ ყოველდღიურად 3-4 საათს ვარჯიშობს.

მეკარე და კოსმონავტები...

ცნობილი იტალიელი მეკარე, 39 წლის დინო ძოფი, რომელიც მრავალი წლის მანძილზე იცავდა თავისი ქვეყნის ნაკრებისა და „იუვენტუსის“ სახელს, ამას წინათ შემდეგი განცხადებით გამოვიდა ტურინის ტელევიზიით: „ვფიქრობ, კიდევ რამდენიმე წელი ვიქნები კარგ სპორტულ ფორმაში. თუ კი კოსმოსში ფრენა შეუძლიათ 45 წლის ადამიანებს, რატომ არ უნდა მივანდოთ საფეხბურთო კარი 40 წლის სპორტსმენებს?...“

დი სტეფანოს რჩევა

ცნობილი არგენტინელი ფეხბურთელი ალფრედო დი სტეფანო ამას წინათ სტუმრად იყო ბუენოს-აირესში, სადაც ინახულა დედა, ნათესავები და, ამას გარდა, ესაუბრა ადგილობრივ ჟურნალისტებს.

ერთ-ერთ პრეს-კონფერენციაზე მას შეეკითხნენ, თუ რა თვისებები უნდა ჰქონდეს ფეხბურთის მწვრთნელს.

ა. დი სტეფანომ უპასუხა: „ჯერ ერთი, მწვრთნელმა უნდა დაიმსახუროს მოთამაშეთა ნდობა და არ დაკარგოს ავტორიტეტი; მეორეც, მან უნდა მტკიცედ განსაზღვროს თავისი ადგილი კლუბში. მწვრთნელი საჭიროა იმისთვის, რომ ავარჯიშოს ფეხბურთელები, ხოლო კლუბის გამგეობამ საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს კლუბს. საკუთარ მოვალეობათა გადაბარება სხვისთვის მხოლოდ საზიანოა“.

აფრიკის ჩემპიონთა თასზე

იაუნდე. ფრედ — 2:2 დამთავრდა აფრიკის ჩემპიონთა თასის პირველი ფინალური მატჩი კამერუნის „კანონსა“ და ზაირის კლუბ „ბილიმას“ შორის.

ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრა 2 კვირის შემდეგ გაიმართება ზაირის დედაქალაქ კინშასაში.

სტუდენტთა შორის

გაიმართა უმაღლესი სასწავლებლების რესპუბლიკური გათამაშების განმეორებითი შეხვედრები ფეხბურთში.

ზოოვეტერინარული ინსტიტუტის (თბილისი) ფეხბურთელებმა ანგარიშით 2:0 დაამარცხეს ბათუმის პედინსტიტუტის გუნდი. აფხაზეთის უნივერსიტეტის გუნდმა ფრედ ითამაშა თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის კოლექტივთან —0:0, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა მოუგო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის გუნდს — 4:0, ხოლო ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფეხბურთელებმა პირველი წრის დამარცხების რევანში აიღეს ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის გუნდთან შეხვედრაში — 3:0.

ამრიგად, გათამაშების შემდგომ ეტაპზე გავიდნენ ზოოვეტერინარული ინსტიტუტის, აფხაზეთის უნივერსიტეტის, ფიზკულტურის ინსტიტუტისა და ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდები.

დადგა ტურნირის მეოთხედფინალური ეტაპი. დღეს ერთმანეთს ხვდებიან სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი), პედაგოგიური ინსტიტუტი (გორი) — სახელმწიფო უნივერსიტეტი (თბილისი). ხვალ ითამაშებენ პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ქუთაისი) — ზოოვეტერინარული ინსტიტუტი (თბილისი) და აფხაზეთის უნივერსიტეტი (სოხუმი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი).

ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრები გაიმართება 6 და 7 დეკემბერს.

იზარდე, მწვანე ჯეჯილო!

კ. ხალუქვაძის ფოტო.

სპორტული ლატარიის მოყვარულთა საყურადღებოდ!

1981 წლის პირველი ტირაჟიდან მოქმედებაში შედის ახალი ნიმუშის „სპორტლოტოს“ ბარათები.

ამასთან დაკავშირებით, „6 49“-დან და „5 36“-დან სპორტული ლატარიების არსებული ნიმუშის ყველა ბილეთი უნდა შეივსოს და ტირაჟებში მონაწილეობა მიიღოს მხოლოდ 1980 წელს.

შეგახსენებთ დარჩენილი ტირაჟების ნომრებსა და მისი ჩატარების თარიღებს.

49 ტირაჟი — 6 დეკემბერს
50 ტირაჟი — 13 დეკემბერს
51 ტირაჟი — 20 დეკემბერს
52 ტირაჟი — 27 დეკემბერს

52 ტირაჟის შემდეგ ძველი ნიმუშის ყველა ბარათი კარგავს ძალას და 1981 წლის ტირაჟებში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

საქსპორტლოტო.

● ჭადრაკი

ორი ჩემპიონატი

დიდი გამოცოცხლებაა ამ დღეებში თბილისის ჭადრაკის სასახლეში, იგი მასპინძლობს „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს მოჭადრაკე ვაჟთა პირველობას და ატარებს თავის ტრადიციულ მეხუთე ჩემპიონატის ნახევარფინალს.

დინამოელთა პირველობის IX ტურში ერთმანეთს შეხვდნენ ლიდერი ოსტატობის კანდიდატი გ. ხაილენკო და ოსტატი დ. გედევანიშვილი. გაიმარჯვა ოსტატმა და 7,5 ქულით დაწინაურდა. ხაილენკოს 6,5 ქულა აქვს, გ. ბიბილაშვილს (რუსთავი), ლ. ნეურონოვს (ბათუმი) და შარშანდელ ჩემპიონს ბ. გვენცაძეს (თბილისი) — 5-5.

სათამაშო დარჩა 4 ტური.

სასახლის ჩემპიონატის ნახევარფინალში 100 მოჭადრაკე მონაწილეობს, 20 მათგანი ოსტატობის კანდიდატია. პირველი ოთხი ადგილის მფლობელი ფინალის საგზურს მიიღებს. 5 ტურის შემდეგ ლიდერობენ ვ. ბურჭულაძე, ვ. დგებუაძე, კ. და ფ. პირაევები — 4,5-4,5.

გ. ფამილიანტი,
ჭადრაკის სასახლის ინსტრუქტორი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

რედაქტორის მოადგილე
ჟ. ჭიჭინაძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-53; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-55; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში. ხოშარაულის, 29.
ИНДЕКС 66435
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17
უე 14755